რა არის ბავშვის უფლებათა კოდექსი?

ბავშვის უფლებათა კოდექსი არის პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ერთ დოკუმენტში აერთიანებს ბავშვის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ადგენს მათი დაცვის და რეალიზების პრინციპებს, სტანდარტებსა და ინსტიტუციურ გარანტიებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა პარლამენტის, მთავრობის, მუნიციპალიტეტების, ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ყველა პროფესიონალის, სხვა საჯარო და კერძო პირებისთვის.

ბავშვის უფლებათა კოდექსის თანახმად ბავშვს აქვს:

- მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა;
- ძალადობისგან დაცვის უკეთესი გარანტიები;
- ჯანდაცვა და სოციალური დაცვა;
- ინკლუზიური განათლების უფლება.

ვინ ითვლება ბავშვად?

ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ადამიანი (არასრულწლოვანი). შესაბამისად 18 წლამდე ბავშვს არ აქვს უფლება სრულყოფილად და დამოუკიდებლად გამოიყენოს თავისი უფლებები მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის ან სასამართლოს ჩარევის

გარეშე. მაგალითად: მან შეიძლება დამოუკიდებლად შეიძინოს მცირეფასიანი ნივთები და პროდუქტები (მაგალითად: საკვები, ყოველდღიური მოხმარების საგნები და ა.შ.), თუმცა დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს უძრავი ქონების შეძენა/გასხვისებას.

ბავშვის ფუნდამენტური უფლებები

ბავშვს აქვს ჯანსაღი განვითარებისა და სოციალური დაცვის უფლება

რაც გულისხმობს, ბავშვის უფლებას, ისარგებლოს სოციალური დაცვით და ცხოვრების ისეთი სტანდარტით, რომელიც შეესაბამება ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების საჭიროებებს. ცხოვრების სათანადო სტანდარტი გულისხმობს, როგორც მინიმუმ, ბავშვის უზრუნველყოფას კვებით, სუფთა სასმელი წყლით, ეკოლოგიურად სუფთა, უვნებელ გარემოში ცხოვრებით, ჯანდაცვით, კატასტროფების და უბედური შემთხვევებისგან სათანადო დაცვით. მოცემულის უზრუნველყოფა მშობლების ვალდებულებაა, ხოლო თუ მშობლებს უჭირთ ამ მოვალეობის სათანადოდ შესრულება, სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს მათ.

ბავშვს აქვს განათლების უფლება

გულისხმობს, ბავშვის პიროვნების, ნიჭის, კრიტიკული აზროვნების, შესაძლებლობების განვითარებას და მის მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

ბავშვს აქვს უფლება ოჯახზე

გულისხმობს ბავშვის უფლებას ცხოვრობდეს და იზრდებოდეს მშობლებთან ოჯახში, სადაც შექმნილია ყველა პირობები მისი ჰარმონიული აღზრდა-განვითარებისა და კეთილდღეობისთვის და სადაც არ გამოიყენება აღზრდის ძალადობრივი მეთოდები (მათ შორის, ბავშვის ფიზიკური დასჯა ან სხვა სასტიკი, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა).

თუ მშობლებს უჭირთ ამ მოვალეობის სათანადოდ შესრულება სხვადასხვა ფაქტორების გამო, სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს მათ ოჯახის გაძლიერების სხვადასხვა ღონისძიებებით, პროგრამებით და სერვისებით. მაგალითად: სახელმწიფო უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალურ დახმარებას, უზრუნველყოფს უფასო სამედიცინო მომსახურებას და ა.შ.

დაუშვებელია ბავშვის დაშორება მშობლებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და სხვა სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, რაზეც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

ბავშვს აქვს უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე

რაც გულისხმობს, ბავშვის უფლებას ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით. სახელმწიფო უზრუნველყოფს ჯანდაცვით სერვისებზე სრულ ფინანსურ თუ გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას.

ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ძალადობისგან

იკრძალება ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერ ფორმა.

ბავშვი დაცული უნდა იყოს ფიზიკური დასჯის, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის, იძულების, დაზიანების, უგულებელყოფის, დაუდევარი მოპყრობის, წამების, ექსპლუატაციის, ვაჭრობის, ტრეფიკინგის და ძალადობის სხვა ნებისმიერი ფორმისგან, ნებისმიერ ოჯახში, სკოლაში და სხვა ნებისმიერ ადგილას, მათ შორის, ინტერნეტ-სივრცეში.

ბავშვი და მართლმსაჯულება

მართლმსაჯულების განხორციელებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესს.

ადმინისტრაციულ ორგანოში (მაგალითად: ადგილობრივი მერია, საკრებულო, სამართალდამცავი ორგანოები, სამინისტროები და ა.შ)

და სასამართლოში ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი.

ბავშვს აქვს უფლება საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე გამოხატოს საკუთარი მოსაზრება საქმესთან დაკავშირებით.

ბავშვის მონაწილეობით სამართალწარმოების განხილვაში ჩართული უნდა იყოს ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ადვოკატები, პროკურორები, პოლიციელები, მოსამართლეები, მედიატორები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა სპეციალისტები.

თუ ბავშვზე ძალადობენ, ან ფლობთ ინფორმაციას ბავშვის ძალადობის თაობაზე, გააკეთეთ შეტყობინება ცხელი ხაზის მეშვეობით:

–ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი - 111;
–საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო „ცხელი ხაზი" - 15 05;
– ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო „ცხელი ხაზი" - 116 -006;
–ტრეფიკინგის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზი- 2 100 229;
–საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ნომერი - 112

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

ბროშურა მომზადდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.